




bsðayðob ðosðaði



Nº 17 (48)

1 მაისი, კვირა, 2016 წელი

ლეიბ სედინმას, გილოცავთ!
ქრისტუ სებეგა! ქაშმარიტაფ სებეგა!

არ არის სახული, უფრო დამოწერებული, არ არის ჰეშმარიტება უფრო გასახარი ადამიანის გულისათვის, როგორც ქრისტეს ყოვლადდიდებული მკვდრე-თით აღდგომა! მოკლედ გვიყვებიან წმინდა მახარებლები უფლის აღდგომაზე, მის გამოცხადებაზე შენელსაცხებლე დედებთან და მოწაფებთან, მაგრამ ამ მცირეოდენშიც ჩვენი გული შეიგრძნობს ამ სიხარულის სიჭარებს, რომელმაც აღავსო გულები წმინდა კეთილმაუწყებლებისა, იმ ზეციურ სიხარულს, რომელიც კერ გამოიხატება სიტყვებით, და არ აკრცობს რა დაწვრილებით, აჩენს მას უმეტესად აღფრთოვანებით სავსე გულის წამოძახილში: „რაბბუნი!... უფალი ჩემი და ღმერთი ჩემი!“ (ინ. 20, 16,28). და ამ წმინდა სიხარულის გამოძახილად ჩვენ გულებში ჩნდება ჩვენი ტებილი საადგომო მიღლვება „ქრისტე აღსდგა -



ჰეშმარიტად აღსდგა!..“ გადმოვცეთ ქრისტეს აღდგომის სასიხარულო დილის მოვლენები თანმიმდევრობით, მათგ მახარებლის მიერ მონათხრობის შემავსებელი სხვა მახარებლის მიერ უწყებულით და ამ მოვლენებთან დაკავშირებული თეოფანე დაყუდებულის მითითებულით.

წმ. მახარეგბელი მათე გვაუწყებს, რომ ხოლო მწუხრი შაბათისა ის იყო გაფიდა დიდი დღესასწაულის გამო დასვენების დრო, ვიდრე საფლავთან დაცვას დააყენებდნენ, რომელი განპირენებოდა ერთ-შაბათად, - ხოლო ებრაელებთან, როგორც ცხობილია დღე იწყებოდა საღამოდან, - მოვიდა მარიამ მაგდალინელი, და სხუა იგი მარიამ, ხილვად საფლავისა მის. წმინდა დედები მოვიდნენ, რათა ენახაო მათთვის ძვირფასი საფლავი, იყო თუ არა უკელაფერი ისე, როგორც დატოვეს გუშინ, და სახლში დაბრუნებულებმა თავისთან კიდევ მიიწვიეს ზებედეს შვილების დედა, სალომეა, წავიდნენ არომატის შესაძენად იქსო ქრისტეს გვამისათვის საცხებლად. იმავე სადამოს, წმინდა დედები, უკვეგლია, შეხვდნენ იოანასაც, იროდის სახლის გამგებლის ცოლს და სხვა დედებს, რომელებიც მოყვებოდნენ იქსოს გალილიდან და ბჭობდნენ, თუ როგორ უნდა მოქცეული ყენებ დილით. გადაწყვეტილი იყო: ქალაქში არ გამოჩენილიყენენ ერთად, რათა არ მიყვროთ ყურადღება, არამედ ერთმანეთისათვის დაეცადათ საფლავთან, იოსებ არიმათიელის ბაზში, რათა უკელას ერთად შეესრულებინა იქსოს სხეულის ცხება. ისინი არ ჩერდებოდნენ ერთ რომელიმე სახლში, ამიტომ არ შეეძლოთ ზუსტად იმის ცოდნა, ვინ როდის გამოვიდოდა. დაცვის შესახებ მათ არაფერი იცოდნენ. სხვათაშორის, ალბათ შუადამისას, და აპა ძრვა იყო დიდი, მიწა ძლიერ შეიძრა „და არც შეეძლო, - ამბობს მთ. ეპ. ინოკენტი, - რომ არ შეძრულიყო, იმიტომ რომ მისი წიაღიდან ახლა გამოდიოდა მკვდართაგან პირველი“, რომლის დიდებული აღდგომის მოწმენი გახდნენ ზეცისა მალნი: რამეთუ ანგელოზი უფლისა გარდამომჲხდა ზეცით, მოვიდა და გარდააგორვა ლოდი იგი ქარისა მისგან საფლავისა და დაპირებული მას ზედა.

უფლის ყოვლადწმინდა გვამი საფლავში უკვე აღარ იყო. იგი აღდგა, დაბეჭდილი საფლავიდან, გამოვიდა სამარიდან ჯერ კიდევ იმ დროს, როცა ქვაც თავის ადგილას იდო, და ბეჭდებიც მთელი იყო, გამოვიდა ისევე სასწაულებრივად, როგორც შემდგომ სასწაულებრივად წარდგა მოციქულებთან კარდახშეულ სახლში. „მსგავსად იმისა, როგორც მოხდა მისი შობისას, როცა დაცული იქნა ბეჭედი მისი კურთხეული დედის ქალწულობისა, ასევე აღდგა, დაიცვარა უცნებლად ბეჭდები საფლავისა“. დედამიწის მკვიდრთაგან არავინ შეიქნალირსი უფლის საფლავიდან დიდებული აღდგომის ხილვისა, რადგან არავის

ადლუმს ამის დანახვა; მოკვდავ თვალს არ შეეძლო, გაეძლო იმ მიუახლებელი ნათელისათვის, როგორშიც დატოვა აღდგომილმა საწოლი სიკვდილისა. ზეციურმა მაცნემ ლოდი მოაცილა საფლავს მხოლოდ იმისათვის, რათა კველას შეძლებოდა დანახვა, რომ საფლავი უკვე ცარიელი იყო... „შინდა მამანი და მასწავლებლები ერთხმად ამბობენ, რომ იქნო ქრისტეს აღდგომა მოხდა მამლის პირველი ყივილისას, რაც წინ უძლოდა უკვე კვირა დღის გათენებას. ამიტომ მეგქვისის, ანუ ჩვენი დროის თორმეტი საათის შემდეგ, კეთილმოსავი ადამიანები წყვეტენ მარხვას და იწყებენ ზეიმს“. იგი აღდგა მესამე დღეს როგორც წინასწარმეტყველი, აღდგა მესამე დღის დაწყებისას, თითქოს დაეშურა კიდევ სიკვდილზე გამარჯვების უწყებას. „ადრე დადგენილების დროზე ადრე შესრულება მოწმობს ძალას, ხოლო დროის შემდგომ აღსრულება ნიშანი იქნებოდა ძალის უქონლობისა. და მეფეც, შეპირდება რა ვინმეს რაიმე სიკეთეს განსაზღვრულ დღეს, შემდეგ კი სიკეთეს გააკეთებს და-პირებულზე უფრო ადრე, არა მარტო შეასრულებს დანაპირებს, არამედ უმატებს ახალ წყალობასაც, ნაჩქარევი შესრულებით“ (ე. ზიგაბენი). „შეეძლო მას,- ამბობს წმ. ათანასი ალექსანდრიელი,- თვით სიკვდილის უამსაც აღემართა სხეული და სხვენებოდა ისევ ცოცხალი, მაგრამ შეგნებულად და წინდახედულად არ მოიმოქმედა ეს, რადგან იტყოდნენ, რომ სხეული საერთოდ არ მოჰკვდარაო“.

შეიძლება წარმოდგენა იმ საშინელებისა, რომელიც მოიცავდა ყველა
დამცეველს საფლავისა, იმ დროს რომ ფხიზლობდა ქრისტეს სამარის კარ-
თან? უკვე ბრწყინვალე ანგელოზის ხილვამ დამის წყვდიადში, მათ თვალი
დაუბრება: ხოლო იყო ხილვა მისი, ვითარცა ელვა, და სამოსელი მისი
სპეციაქ, ვითარცა თოვლი. იგი მთლიანად ბრწყინვადა არამიწიერი სიწ-
მინდით, დიდებით, ღვთის დიდების ნათლით. ერთი შეხებით გადააგორა
მან უზარმაზარი ლოდი გამოქვაბულის შესასვლელიდან, და აყრევევდა
რა ელვას თავის გარშემო, მშვიდად ჩამოჯდა მასზე. ხოლო საშინელები-
საგან მისისა შექსრწუნდეს მცუელნი იგი, და იქმნეს ვითარცა მკვდარნი.
საშინელებისაგან გაშეშებულნი. „მთელი უშიშრობა რომაელი მხედრისა
არარაობად იქცა ზეციური არსების ერთი გამოჩენითაც კი: ერთი, ვამბობ
გამოჩენით, რადგან არ ჩანს, რომ ზეციურ მაცნეს რაიმე ეთქვას მხედარ-
თათვის, - ამბობს მთ. ეპ. ინოკენტი, - მან მხოლოდ გადააგორა ქვა საფლა-
ვიდან და მასზე დაჯდა. მაგრამ ამ ჯდომით ყველაფერი ითქვა“. ამიტომაც
მხედრები, როცა გონის მოვიდნენ, მაშინვე გაიქცნენ იქდან. ამრიგად წმ.
მენელსაცხებლე დედებისათვის ახლა სრულიად უსაფრთხო გახდა უფლის
საფლავთან მიახლოება; მათ კი, მთელი დამე, უდავოა, უძილოდ გაატარეს, რათა
მოემზადებინათ კალაფირი უფლის წმინდა სხეულის საცხებად.

კველა უწინ წარმოდგა საოცრად ერთგული მარიამ მაგდალინელი. შეი-



ჭეშმარიტად აღდგა ქრისტე


ძლება სურდა, რომ რაც შეიძლება აღრე მისულიყო მოძღვრის საფლავთან და შესაძლოა სადღაც გაათია ქალაქის კარიბჭის მიღმა, გათენებამდე რომ არ იღებოდა. ჯერ კიდევ სიბეჭდე იდგა, იგი კი უკვე ითხების ბადში იყო; უახლო

(დასასრული II გვერდზე)

დღეს აღდგომას, გილოცავთ! ქრისტე აღხდგა! ქვეშალიტად აღხდგა!

(დასასრული)

ვდება საფლავს და ხედავს, რომ ლოდი გადაგორებულია საფლავიდან... მაგრამ დათვის ანგელოზმა არ დაანახა მას თავისი სახე, ამიტომაც მარიამი მაშინვე გარბის საფლავიდან, მიდის სიმონ-პეტრესთან და სხვა მოწაფესთან, რომელიც უყვარდა იქსოს, ანუ ორანესთან და გამწარებული ექინება მათ:



წმ. მარტოზ მახარეგბლის თქმით, წმინდა დედები ანგელოზის მიწვევით შევიდნენ გამოქვაბულში, სადაც მათ იხილეს სხვა გაბრწყინვებული ჭაბუკი, მარჯვნივ მჯდომი, თეორებში შემოსილი და შეშინდნენ. ანგელოზმა კი უთხრა მათ: „ნუ განპყრობით, იქსოს ეძიებო ნაზარეველსა ჯუარ-ცმულსა: აღსდგა; არა არს აქ. აპა ადგილი, სადა დაპირუელს იგი. არამედ წარვედით, და უთხრათ მოწაფეთა მისთა და პეტრეს, კითარმედ აპა გეგრა წინა გიძლვის თქვენ გალილიას; მუნ იხილოთ იგი“. ხოლო იგინი გამოვიდეს ადრე მიერ საფლავით, შიშითა რადგან იხილეს არაჩვეულებრივი, და სიხარულითა დიდითა, რადგან მოისმინეს დიდად გასახარი, მიარბიოდეს თხრობად მოწაფეთა მისთა. „დაინახეს, - ამბობს წმ. ოქროპირი, - საშინელი და გასაკვირი საქმე: საფლავი ცარიელი, რომელშიც ცოტბა ხნის წინ მათ თვალწინ დაიდო ცხედარი. იმიტომაც მოყვანა ისინი ამის დასანახად, რათა კოფილიყვნენ მოწმენი ერთისაც და მეორისაც, საფლავში

დადებისაც და აღდგომისაც, ამიტომ არიან განკვირვებასა და სიხარულში“, და ძრწიან შიშისაგან ისე, რომ გზაზე შემხედვ ნაცნობებისთვის, არაფერი შეეძლოთ ეთქვათ. მაგრამ ეს შიშიც მაღვე გაიფანტა აღდგომილი უფლის ხილვით გამოწვეული ნათელი სიხარულისაგან: და ვითარ იგი მოვიდოდეს თხრობად მოწაფეთა მისთა, და აპა, იესო შეემოხვა მათ, და რპქუა: გიხაროდენ! „გამოელაპარაკა, რათა მათ უფრო მეტად ეცნოთ იგი ხმით, და პირველს ეუწყებინა სიხარული“ (ე.ზიგაბენი). ო, როგორი წმიდა აღფრთოვანებით, ყოველივე ქვეხნიურის დავიწყებით, წმ. დედები დაქმხნენ თავიანთ საყვარელ უფალთან! ხოლო იგინა მოვიდეს და შეუვრდეს ფერხთა მისთა, - და მან არ დაუშალა ეს რათა დაერწმუნებინა, რომ არ იყო მოჩენება, და თაყვანი-სცეს მას. „უდიდესი სიხარულით მიეკვრნენ მას, შეხებით მტკიცედ დარწმუნდნენ მის აღდგომაში და თაყვანისცეს მას“ (წმ. ოქროპირი), თაყვანისცეს უკვე არა როგორც მარიამის ძეს, არამედ დვოთის მხოლოდ შობილ ძეს, რომელიც სავსე იყო მადლითა და ჰეშმარიტებით“. და მოწყალე უფალი ამშვიდებს მათ, განდევნის მათგან შიშს და ამზადებს მათში შესაფერის გზას რწმენისაკენ. მაშინ რპქუა მათ იესო: ნუ გეშინინ, წარვედით და უთხარო მმათა ჩემთა, - როგორი შემძრეული და ფაქიზი სიტყვა გაისმის მკვდრეობით აღდგომილი უფლის ბაგეთაგან მათზე, რომელთაც ამზადებს თავის მამასთან მისასვლელად! მას არ გრცხვინება ძმები უწოდოს თავის მოციქულებს: უთხარო, ამბოს, ჩემს ძმებს, რათა წარვიდნენ გალილიას, და მუნ მიხილონ მე. და მე ვეტყვი მათ, რა უნდა გააკეთონ. თქვა ეს უფალმა და გაუზინარდა...

როგორი სიყვარულით ზრუნავს ადდგომილი უფალი, რათა რაც შეიძლება
მაღე დაამშვიდოს და გაამხნევოს თავისი საყვარელი მოწაფენი! იგი ხედავდა
თუ როგორ შესაბრალის მდგომარეობაში იმყოფებოდნენ ისინი მას შემდეგ
რაც დაობდნენ. მის დაკრძალვაზე კი, არც ერთი მათგანი, იოანეს გარდა, არ
გამოჩნდა; თვით უმწეო დედაკაცებიც კი მათზე უფრო ძლიერად გამოიყურე-
ბოდნენ მაშინ; წმინდა დედებს ჩვენ ვხედავთ გოლგოთაზეცა და ქრისტეს
საფლავთანაც, უკანასკნელ წუთამდეც, ვიდრე ლოდმა არ დაეჭარა საფლავის
შესასვლელი, ვიდრე დამდეგი დამის ბინდმა არ გაახსენა მათ, რომ დრო იყო
დაეტვივებინათ მათთვის ძვირფასი სამარხი... მოწაფეთაგან მხოლოდ ერთი იო-
ანე იდგა ჯვართან და ასეთი სიყვარულისათვის უფალმა თავისი კურთხეული
დედის შეილობილობა არგუნა. დანარჩენები კი იყვნენ მწუხარებით განგმირ-
ული, შემისაგან ვერ ბედავდნენ სახლიდან გარეთ გამოსვლას, ისხდნენ და შუ-
ლი კარების მიღმა... და აი, ჩვენ ვხედავთ, რომ „როგორც ანგელოზებითან, ასევე
თვით უფლისაგან, ორივე გამოცხადებისას, მეორდება ერთი და იგივე მოთხოვნა
- ამბობს მთ.ეპ. იონკენტი, - რათა საჩქაროდ წასულიყვნენ მოწაფეებთან ადდ-
გომის საუწყებლად. ადდგომილის ნეტარება უფალს არასრულადე ჩვენებოდა
ვიდრე მას არ გაიზიარებდნენ ისინი, რომლებიც ბოლომდე შეიყვარა, და რომ-
ლებიც ამის გამო ახლა იწოდებიან არა მოწაფეებად, არამედ მტებად, სხვათა
შორის, პეტრემ იოანესთან ერთად, გამოქვაბულში მყოფებმა, საფლა-
ვთან ვერ იხილეს თავად ადდ-
გომილი, ვერც ერთი ანგელოზი. უდავთა იმიტომ, რომ მათთვის ჯერ
მომწიფებულიყო სრული სიხარუ-
ლის ქამი, და მათი სულიერი მდ-
გომარების შესაბამისად მათთ-
ვის სასარგებლო იყო დასაწყისში
მოესმინთ ადდგომაზე სხვებისაგან,
ვიდრე მაშინვე თავად ეხილათ ად-
დგომილი“.



უკრაინების დირსია ისიც, ვის
ქონდა მიცემული მიღება და აღდ-
გომაზე პირველი ცნობის გავრცელება, - არა იოვანეს, არა პეტრეს და იაკობს
- თავ მოციქულებს, არამედ სუსტ, მაგრამ გულმოდგინე დედებს, ხელსაცხ-
ებელი ომ მოქმედებინათ. ეს საცხებული გამოუყენებელი გახდა, მაგრამ
ისინი, თავიანთი სიყვარულის გამო, თავად შეიქნენ ქრისტეს კეთილსურნელებ-
ბად. „ქალმა, - შენიშვანის წმ. გრიგორი დიდი, - გველისაგან მიიღო პირვე-
ლი სიცრუე, და ქალმავე თვით მკვეთით აღდგომილი უფლისაგან მოისმინა
პირველი სასიხარულო ჰეშმარიტება; ვისი ხილვითაც გაზავდა სასიკვდილო
სასმელი, იგივე ხელმა მოგვცა სასმელი ცხოვრებისა“. და წმ. დედანი გახდნენ
მოციქულები თავად მოციქულთათვის, ახარებდნენ რა მათ ქრისტეს აღდგომას.
წმინდა ეკლესიას კი სწამს, და თავის რწმენას საზეიმოდაც კი აღიარებს თა-
ვის საადგომო საგალობლებში, რომ დედათაგან პირველი, რომელმაც მიიღო
ანგელოზისაგან სასიხარულო ცნობა უფლის აღდგომაზე, პირველი, რომელიც
მისი ხილვის დირსი გახდა, იყო არა მარიამ მაგდალინელი, არამედ დედათა
შორის ყოვლადეკურთხეული დვოთისმშობელი. და მართლაც, განა შეიძლებოდა
მომხდარიყო სხვანაირად? ქრისტიანის გული გონებაზე უკეთესად უასუებებს
ამ კითხვას: არა, სხვანაირად არც შეიძლებოდა! დედა დვოთისა თავის უსაყ-
ვარლეს შვილთან ერთად გულით გაეკრა ჯეარს ყველაზე მეტად, და მასზევე
იზრუნა წამებულმა ძემ საოცრად ფაქიზად ჯერიდან. და განა დატოვებდა მას
თავის დიდებულ აღდგომაზე უცნობებლად? და, მართლაც, აღდგომის ტაძარში
ძველ იერუსალიმში, უფლის საფლავის მახლობლად, ახლაც მიუთითებენ აღგ-
ილზე, სადაც უფალი ქვევნა თავის უწმიდეს დედას. თუ მახარებლები არ ამ-
ბობენ ამაზე, მიზეზი გასავებია. დვოთისმშობლისათვის არ იყო სასურველი, რომ
მასზე გაცხადებულიყო, და მოციქულებიც კეთილი კრძალვით ეკიდებოდნენ
ამ უჩვეულო სიმდაბლეს დედათა შორის უწმინდესი დედისა, როგორც კანონებს
აფასებდნენ მის სურვილს და ერიდებოდნენ მასზე საუბარს, რადგან თავადაც
მდუმარება უყარდა.

უფლის მენეჯდასაცხებლე დედებთან გამოცხადებაზე საუბრისას, წმ. ოქროპი-რი ამბობს: „შეიძლება ოკენის შორის ვინმეტ ისურვოს, ქების ღირსი დედების მსგავსად, იქსოს ფეხების შემოხვევა? ეს შეგიძლიათ ახლაც, თუ ვინდათ, არა მარტო ხელებისა და ფეხების მოხვევა, არამედ წმინდა თავისაც: სუფთა სინ-დიდით ეზიარეთ წმინდა საიდუმლოთ. და არა მარტო აქ, არამედ იმ დღესაც დაინახავთ მას, გამოუთქმელი დიდებით მომავალს, ანგელოზთა დასთან ერ-თად, თუკი ისურვებოთ ყოფნას კაცომოვარუებად. ოქვენ მოისმენთ არა მარტო სიტყვებს, „გიხაროდენ“, არამედ „მოვედით კურთხეულნო მამისა ჩემისანო და დაიმკვიდრეთ განმზადებული ოქუნენთვის სასუფეველი, დასაბამითგან სოფლი-სათ“ (მო. 25,34). ასე, რომ ვიყოთ კეთილმოსავები, დვოთისმოვგარულნი, ვაჩვენოთ სიყვარული ყველას, რათა მოვისმინოთ ეს სიტყვები, და მივიღოთ თავად ქრისტე ჩვენთან“.

გავუფრთხილდეთ მშობლიურ ენას - ღმერთების ენას

აშგარდაცვლილი, ცხონებული ვოვა (ვლადიმერ) ჯაფარაშვილი გამგებლად
რაღაც ორი თვის დანიშნული იყო მშენებელთა თათბირი რომ მოიწვია. მე,
როგორც გაზეთის რედაქტორი, ასეთ და სხვა მსგავს ღონისძიებებს, როგორც
წესი, ყოველთვის ვესტრებოდი, რომ საქმის კურსში ვეოფილიყავი რაორნში მიმ-
დინარე პროცესებზე, გამგეობის მუშაობაზე.

თათბირი ზუსტად 9 საათზე დაიწყო, რომელსაც, მშენებელთა გარდა, წარმოება-დაწესებულებათა და ორგანიზაციათა ხელმძღვანელები ესწრებოდნენ შერჩევით. გამგებელი შემოვიდა თუ არა სხდომათ დარბაზში, თათბირი მაშინვე დაიწყო. განმარტა რა ამ თათბირს მიზანი და მნიშვნელობა, გამომსვლელებს სთხოვა მოკლედ და კონკრეტულად ესაუბრათ საქმეზე გამოვევთათ ჩამორჩენის მიზანები (სადაც ასეთი იყო) და დაესახათ მათი გამოსწორების კონკრეტული და ოპერატორული ღონისძიებები. სიტყვის დასახრულს, კველასაგან მოულოდნელად ასეთი რამ განაცხადა: მეგობრებო, გამომსვლელებო, გთხოვთ, გაითვალისწინოთ, რომ დარბაზში ქალბატონი მაჟალა ხაზიძეა. ვოგაძ



ლას. მე რვა თოთი ვაჩვენებ და მაყვალაც წამოდგა. წვეული მოკრძალებითა და თავშეკავებით დაიწყო: „მეგობრებო, ქეტი პატივი უნდა მივაღოთ მშობლიურ ენას, ქართული ენა ღმერთების ენა, ენა ჩვენი ყოფიერების ერთ-ერთი ძირითადი ნიშანია, გახსოვდეთ დიდი ილიას სიტყვები: „ენა, მამული, სარწმუნოება“.” აქ გამომსვლელმა მოკლედ და დამაჯერებლად ისაუბრა საქმის ირგვლივ, მაგრამ ამ მოკლე გამოსვლაში მან რვაჯერ ისმარა უცხო სიტყვა (კ.წ. ბარბარიზმი), რომელთა შესატყვისი სიტყვები ქართულში გვაძეს, მაგალითად, „ზდანია“, – „შენობაა, „ქეშტი“ – თუნექი, „რემონტი“ – შეკეთება, „პლანი“ – გეგმა, „სელადი“ – საწყობი, „კრიშა“ – სახურავი. რით არის ეს სიტყვები ქართულ შესატყვისზე უკეთესი? მგრონ არაფრით, ჰო და, დროა თითოეულმა ჩვენთაგანმა მეტი ვიზრუნოთ და ვაკეთოთ მშობლიური ენის სი-

კრახი – საღისებური პოლიტიკის ფინანსი

ნაციონალურ მომრაობაში კარგად იციან, რომ მომავალ პარლამენტში მათი ხევდრითი წილი ძალიან დაბალი იქნება. სწორედ გამსვლელი აღია-ლი და საარჩევნო სიის დაკომპლექტება გახდა ოდ-ესის გუბერნატორის მიხეილ სააკაშვილისა და „ნა-ციონალური მომრაობის“ ერთ-ერთი ლიდერის გიგა ბოკერიას დაპირისპირების მიზეზი. სანდო ინფორ-მაციით, ბოკერიას არ სურს ყოფილი ძალოვნების და კონკრეტულად, ვანო მერაბიშვილისა და მმებ ახალაიგებთან ასოცირებული ადამიანების საარჩევ-ნო სიაში შევვანა, რასაც ყოფილ მმართველ გუნდ-ში დაპირისპირება მოჰყვა.

ბოკერიას იდეას დაუპირისპირდნენ „ნაციონალური მოძრაობის“ ის წევრები, რომლებიც სწორედ ყოფილ ძალოვნებთან არიან ასოცირებულნი და საქმის გარეკვევა მათ ოდესის გუბერნატორთან გადაწყვიტეს. თავის მხრივ კი, მიხეილ სააკაშვილმა „ნაციონალურ მოძრაობას შეახსენა ყოფილი ძალოვნების



ურად, საარჩევნო სისტემაზე შეთანხმება მიღწეული არ არის. პოზიციას არ იცვლის გიგა ბოკერია, რომელსაც საერთო ხასიათის გარემონტის სამართლის მიერ გადასახლება.

საარჩევნო სიის ახალი სახეებით გახახლება სურს.
შიდა კლანური დაპირისპირება და ბრძოლა გაფლენის მოსაბოებებით, „ნაციონალურ მოძრაობას“ ყოველთვის ახასიათებდა და ეს ინფორმაცია ყოველთვის ქონავდა.

არჩევნების მოახლოებასთან ერთად გააქტიურდა ბოკერიას ფრთა, ორმედიც ცდილობს „ნაციონალური მოძრაობის“ მერაბიშვილისა და ახალაიას კადრებისაგან გაწმენდას და ამ გზით ცდილობს „ნაციონალური მოძრაობის“ რეინგარნაციას. რამდენად შეძლებს ბოკერია პარტიისათვის სასიცოცხლო ფუნქციების შენარჩუნებას, ექსპერტების განცხადებით, ეს როგორი სათქმელია. რადგან, სწორედ ყოფილი ძალოვნების შანჩაჟის ქვეშ იყენებ და არიან „ნაციონალური მოძრაობის“, წევრები.

წმინდისათვის. გაიხსენეთ, მეგობრებო. ირაკლი აბაშიძის დიდებული ლექსი:
თ, ენავ, ჩემო!

म, जूळ, हुम!

ლელავ ენავ, შენ, ჩვენო ნიშნ,
სრბოლავ და ფრენავ,
ვენ, ჩვენი სუნთქვის დიდო ალამ,
6, შირთა ჩვენთა ტყბილო გალამ,
26, კირო ჩვენთა ქვათა და კირთა,
შენ ერთს, შენ ვერ გთომო სამარის

მაყვალამ თავისი გამოსვლა, დარბაზი ერთიან

მუშანა, ახმაურდა, აქაიქ მოკრძალებული, გაკვირვებული შექახილები და ჩუმი სიცილი გაისმა. თათბირის მონაწილეები ახლა მიხვდნენ, გამგებელმა რატომ შეასხენა მათ, რომ დარბაზში მაყვალა ხაჩიძე იყო – ენის პალატის ხაშურის ორგანიზაციის ხელმძღვანელი.



შემდგენ გამოსვლები უფრო მოკრძალებული და ფრთხ-
ილი იყო, თავისუფალი ყოველდღვარი უცხო სიტყვებისა-
გან. ერთი სიტყვით, ვოვას ჩანაფიქრმა და მაყვალას გამოსვლამ, უკვე პირველი
შედეგები გამოიდო.

— სას ძევდებ დიდი დორ გავიდა. ყინა ხელისუფლება მოვიდა თუ არა სახელმწიფოს სათავეში, ერთ-ერთი პირველი რაც დაწეულ რეფორმებს შეეწირა. ენის პალატის გაუქმება იყო და ამით ნათლად განაცხადეს თავიანთი დამოკიდებულება ქართული ენისადმი, საერთოდ ყოველივე ეროვნულისადმი.

ენის დაცვის ხაზით.
გვიქრობთ, ქვეყნის დღევანდველი ხელისუფლება პრაქტიკულ ნაბიჯებს გადადგამს და აღადგენს აღნიშნულ პალატას, რის აუცილებლობაზეც დღეს ხმამაღლა საუბრობენ ქვეყნის ცნობილი ადამიანები, პატრიოტები, მამულიშვილები, ურთისეული აქციები და ბათუმის

მათ ინტერესებს და მათ შორის, საკუთარ გუნდზი, ამ ფალრებით აშანტაჟებენ”, - აცხადებს არჩილ გამზარდა.

„არაფერია გასაკვირი იმაში, რომ სერიოზული თავის ტკიფილი აქვს „ნაციონალური მოძრაობის” საქართველოში შემორჩენილ გუნდს”, – აცხადებს ექსპერტი სოსო ცისკარიშვილი, რომლის განცხადებით, ამ პარტიის ერთსულოვნება გამყარებული იყო სააკაშვილის მიერ, რომელიც მოწყდა ქართულ რეალობას. მისივე თქმით, ბოკერიასა და სააკაშვილის თვალით დანახული უპანასკელი 4 წელი არ გავს ერთ ქვეყანაში არსებულ ვითარებას. მარტო გონი და ნიტი საქმარისი არ არის წარმატები-

სათვის, რადგან ეველასათვის ცნობილია, ვინ არის
ქეთერაშვილის ჯიბის უხუცესი, ბოკერიას და მის
გუნდს კი, ასეთ ფინანსურ წეაროვებთან წვდომა არ
გააჩნიათ.

„მესმის ბოკერიას მიზანი, თუმცა, გარკვეული გავლენა ნაცომძრაობაში სააკაშვილს აქვს, მაგრამ არა ისეთი, როგორც მას პგონია. რასაკვირველია, ეწ ძალოვანები ძნელად გასამიჯნია. მიზანი შეიძლება არსებობდეს, მაგრამ მისი განხორციელების პერსპექტივა დამოკიდებული არ არის მხოლოდ იმ პოლიტიკოსებზე, რომლებიც თვითკრიტიკის წიაღში აღწევენ ხოლმე. ძნელია საქუთარი მძიმე

წარსულის დავიწყება, რაც სურს „ნაციონალური მოძრაობის“ გარკვეულ ნაწილს.

სამწუხაროდ, პროგრამის, რასაც ჯევია პირადი ცხოვრების ამსახველი კადრების შედგენა, დაიწყო ამ მოძრაობამ. ჩაფიქრებული იყო, რომ ეს კადრები გამაერთოანებლი და ერთ ბირთვად შეავრის შესაძლებლობა გახდებოდა, მაგრამ სწორედ, რომ უკუღმა იმუშავა ამ წარმოდგენამ. ახლა კი, საკუთარ თავს უსაბოროან.

როდესაც, სახელმწიფო მოხელეებზე ასეთი შინაარსის ჩანაწერები იქრიბებოდა, იქ ჩემის და სხვისის გარჩევა არ ხდებოდა, რადგან ღოქტონია სრულიად მკაფიო იყო – ყველას ყველასი უნდა ეშინოდეს, რომელიმე მათგანმა არ მოინდომოს რაიმე ისეთი, რაც მიუდგენდია ამ პარტიის ლიდერებისათვის. მცდელობა იმისა, რომ უკენე გამოიბა ყველა ვინც შენ გჭირდება და არ მისცე მას გვერდზე გახედვის საშუალება, ეს არ არის პოლიტიკა, ეს არის სადიზანის სრულიად მკაფიო ფორმა, რომლის ფინანსიც არის კრაბი”, – დაასკვნა სოსო ცისკარიშვილმა.

შოთა რუსთაველის სახელობის №9 საკუ-
რო სკოლის დაჩატული გამართა შეხვედრა
მრჩევილის მიზანითან სამართლებრივ
აუკითხებაში კანა კიჯორიქასონ, რომელ
ასაცარო ლეგიტიმი გაიკითხა სკოლის მოს-
წავლებაშისათვის თემაზე „როგორ გავხდოთ
არარატებული“. შეხვედრა კითხვა-პასუხის
რიცხვში გაზრდასთავის მაღალ სამი-
ზარების და დაყოფილი აღმოჩენება,
როგორც მოსწავლის განვითარების
სამიზანო საზოგადოებისთვისაც.

17 ნილი გავიდა მას შეაძლებ ჩას
კორლა დაამთავრა, ეს დრო საკამარი-
აი აღმოჩნდა, თავის ცხოვრება მკვი-
რად გვიცვალა და იმ სკოლის ვი-
ლევაში, სადაც პირველ ნაბიჯებს
ზრამდა, და სადაც მისი პიროვნეული
კონცერტი გამოიკვეთა, უკვე ახალი თაობისთ-
ვის დაგროვილი გამოსლილება გაეზიარებინა.
მაგრამ, რომ შრომისოფუარობა ყველაზე
ვიზუალ დაწესარა ნარჩაბების მიღებივაში და-
ზუამ, როგორმას პრეზიდენტის მჩჩვლობამ-
ც მიიყვანა, აღვიტო არ იყო. სრეალისტი
უკიმილი სახით მისი აღმზრდელი მასწავ-
ლებელთან დაგარსებულიათ რომ სწორი




ესენია - ჩვენებური, ჩვენი კასა კომოდიტის
რომელიც თავისი შემახა იცდილუალ-
ერი ფორმალუა, იმისათვის თუ როგორ გამ-
ძარიყო თარმატებული.

რა ადეგია კითხვის დასტის საშუალება
საზოგადო მოვალეობის მისამართის და ეს შანსი მასი-
ლა გამოიყენოთ, რათა ჩვენ მკითხველ-
ები პერსონალის მისამართის მისამართის და ეს შანსი მასი-
ლა გამოიყენოთ, რათა ჩვენ მკითხველ-
ები პერსონალის მისამართის მისამართის და ეს შანსი მასი-

— რას ნიშნავს თქვენოვის იმ სკოლაში კვლავ
უაგრძნება, სადაც სხვოვრების პირველ ნაბი-
ჭებს ღგამიტ?

- 1999 წელს დაგამთავრე სკოლა, მას შემდეგ
საქამიანი დიდი ხანი გავიდა. განსაკუთრებული
ცანცდა მეუფლება ამ სკოლის კედლებში შე-
მოსვლის შემდეგ, რადგან აქ ყველაუფრი ნაცონაში
და საყვარელია... არ მეგულება ისეთი ადამიანი
რომელსაც არ ეთქვას, ნებავ კიდევ სკოლაში ვე-
რავლობდეთ. სკოლის პერიოდი ნამდვილად არის
ეს დრო, როდესაც შესაძლებლობა გაქს, შეიქმნა
მყარი საფუძველი მომავალი ცხოვრების უკეთ წარ-
ასრულობასთ ის აპოვენს საჭირო კონტაქტს ა-დ



კლისტვის. ამიტომაც, საჭიროა ამ დროის მაქსიმალურად კამოენება. მოხარული ვარ, რომ შესაძლებლობა მეტადევთა, ჩემი დაგროვილი გამოცდილება გავუნიარო მოსწავლეებს. დიდი მადლობა მეცხრე აჯარო სკოლას მოწვევისათვის და განასაკუთრებით ინგლისური ენის პედაგოგებს ასეთი ააინტერესო ინიციატივისათვის.

- გატრენ კანა, მოგვიყენოთ თქვენი დღის ჩაზიანების შესახებ?

- ცხადია, არავის გაუქვირდება, რომ ძალიან დატვირთვული გრაფიკი მაქვს, გამომდინარე იქმდან, რომ პრეზიდენტის ადმინისტრაციაში უკერი საქმეა. საქართველოს პრეზიდენტისთვის ჩევვების მიცემა, ერთის მხრივ, არის ძალიან დიდი საზოგადო ხემოვნების, მაგრამ, მეორეს მხრივ, ეს არის ძალიან დიდი პასუხისმგებელის, მაგრამ, მეორეს მხრივ, ეს არის

კოფირიდება: თარგმატიზაციის ს
აუცილებელი პირობება —
განათლება, შრომა და მიზნის
მიღწევის ძლიერი სურვილი

თქმა უნდა, ეს მაკისრებს უდიდეს პასუხისმგბლობას და მაგალდებულებს, რომ გიყო ყოველთვის მზად, ყოველთვის ფორმაში და მუდმივად მობილიზებული, რათა ძველანაში მიმდინარე პოლიტიკურ-სამართლებრივ მოვლენებთან დაკავშირებით ყოველთვის მქონდეს სათანადო ინფორმაცია.

- პროგრამის თუ დაყვაბით რფიციალურ შეხვედრებზე ან საბაზო ვიზიტებში?

— ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში, გადა
აწყვეტილების მიღების დროს, ანუ წაპყვე თუ
არა პრეზიდენტს საზღვარგარეთ, ჩექე გამოვდი-
ვართ შემდგენი პრინციპითან, საზღვარგარეთ თუნ-
დაც ერთი ადამიანის წასვლა არის დამატებითი
ხარჯი სახელმწიფო ბიუჯეტისთვის,
ამიტომ თუ არ არის თანხელების
პროტოკოლური აუცილებლობა, მე
არ მივყვები. ასეთ დროს საჭიროდ
ვთვლით, ის საკითხები, რომელიც
უშეალო კავშირშია ჩემს სფეროს-
თან, წასვლამდე გავიაროთ და გა-
ვაანალიზოთ კარგად პრეზიდენტთან
ერთად. ვიდრე ის, რომ მე მაინცდა-
მაინც უნდა ვახლდე საზღვარგარე-
თის ვიზიტებზე. ჩემი თვითმიზანი
არასოდეს ყოფილა და არასოდეს
მითხვია პრეზიდენტისთვის საზ-
ღვარგარეთ წასვლა, რადგან ყოვ-
ელთვის გამოვდივარ ისევ და ისევ
აუცილებლობიდან. ქვეანას არ აქვს



დაგონა არის თქვენი კარიბის პირი თუ სამ-
ხავლო გეგმების დასახული გაქვთ კარიბული
თვალსაზრისით?

— არასოდეს მიუკირია იმ თანამდებობებზე, რასაც ვიკავებდი ცხოვრების სხვადასხვა ეტაპზე. არასოდეს დამისახავს მიზნად, რომ გავმჩდარიყავი

— პოლიტიკურაგან სამოუკილებლად, როგორ-
რის პრაზილიანი პირად ურთივირთობაზე?

— თქვენი მკანები... დატვირთული გრაფიკიდან გამოღინური, რამდენად ახრჩებთ მკანებისათვის სათანადო ლრობის დამორჩას?

— ეს არის უდიდესი პრობლემა ჩემთვის. მართალია ის ფაქტი, რომ რაც უფრო თანამდებობრივად წინ მიიწვე, მით უფრო წინა პლანზე იწევს ეს პრობლემა. როგორია, იმიტომ რომ მშობლების ურთიერთობა შეიძლებონ უმნიშვნელოვანესია. ვერავინ მისცემს ბავშვს იმ სითბოს, სიყვარულს და კურადღებას, რისი მიცემაც მშობელს შეუძლია. ამიტომ, კვლანაირად კვდილობ, როგორც კი თავისუფალი დრო გამომიჩნევბა ჩემს შვილებთან და მეუღლესთან ერთად დაგვეგმო რაიმე, თუნდაც სადმე ერთად წისვლა, ან ვეთამაშო, მოგვუყვა ზღაპრები ან უბრალოდ ვესუბრო მათ. ეს პროცესი თავად ბავშვებსაც ძალიან მოსწონთ და მეც, სიმოვნებას მანიჭებს მათთან ურთიერთობა. ჩემი მეუღლესათვისაც, რა თქმა უნდა რთულია ჩემ დატვირთულ გრაფიკთან შეგუება თუმცა, მაინც გაგებით ეკიდება, მიუხედავად იმისა, რომ არ მოსწონს, როგორსაც, ხშირად, სახლში არ ვარ. მან იცის, რომ ეს აუცილებლობით არის განპირობებული, ანუ თანამდებობრივად გარკვეული ვალდებულებები მაკისრია და კვლანაირად ცდოლობს, თავად მაინც, მაქსიმალური დრო გაატაროს ბავშვებთან და გვერდშიც დამიდგეს.

რას თვლით უდიდეს მიღებად თქვენი ცხოვრების გზაზე?

— უდიდესი პატივია ჩემთვის ომ საქართველოს
პრეზიდენტს, ქვეყნის მეთაურს, მივცე რჩევები
და ჩემი წვლილი შევიტანო იმ დიდ საქმეში, რა-
საც ქვეყნის მართვა ჰქვია. ამიტომ, მე ვფიქრობ,
რომ ის თანამდებობა, რაც დღეს მე მიკავია, არის
უდიდესი მიღწევა ჩემი კარიერული წინსვლის
სამი გზაზე. ამავე დროს, უდიდეს მიღწევა-
ად ვთვლი იმ თანამდებობას რაც მე
ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია-
ში მქინა, ანუ თაგმჯდომარის თა-
ნამდებობა. ახალგაზრდა იურისტთა
ასოციაცია არის კველაზე ცნობილი
და დიდი არასამთავრობო, პროფესი-
ული გაერთიანება, ძალიან ცნობილი და პროფე-
სიონისტებისა და ხელმძღვანელობდე
ასეთ სახელოვან და დიდი ისტორიის მქონე ორ-
განიზაციას, თანაც შენივა კოლეგების სურვილ-
ით, რადგანაც ეს თანამდებობა არჩევითია, არის
უდიდესი მიღწევა და სამაყოა ჩემთვის. „საიამ“
ძალიან დიდი გამოცდილება მომცა ჩემი პროფესი-
სიული განვითარების გზაზე და როდესაც გავხდი
თავჯდომარე, ყოველთვის ვცდილობდი, ის პრინ-
ციპები და შეხედულებები, რაზეც დაფუძნებულია
ეს ორგანიზაცია, დამეცვა და მებრძოლა ამ იდეგ-
ოდებისთვის.

- თქვენი აღზამოდელი დაკავებული თანამ-

დაგონა არის თქვენი კარიბის პირი თუ სამ-
ხავლო გეგმების დასახული გაქვთ კარიბული
თვალსაზრისით?

— არასოდეს მიუკირია იმ თანამდებობებზე, რასაც ვიკავებდი ცხოვრების სხვადასხვა ეტაპზე. არა-სოდეს დამისახავს მიზნად, რომ გავმხდარიყავი „საიას“ თავმჯდომარე ან პრეზიდენტის მრჩეველი, ეს მოიტანა სიტუაციაშ და აღბათ, ჩემმა მონდომებამ, შრომისმოყვარეობამ და ცდამ, რომ ბოლომდე დავხარჯულიყავი იმ თანამდებობაზე, რაც მეკავა იმ ეტაპზე. არის თუ არა ეს პიკი, მე ეს არ ვიცი, ამას დრო გაიჩენებს, თუნდაც, რომ იყოს პიკი, მე მაინც ვიქნები მოხარული, რადგანაც ნამდვილად საამაყოა ეს თანამდებობები, იყო ასევე სხვა პოზიციებიც, არასამთავრობო ორგანიზაციათა კრალიციის - „დამოუკიდებელი და გამჭვირვალე მართმსაჯულებისათვის“ - თავჯდომარის, სახელმწიფო საკონსტიტუციო სასამართლოს წევრობა და სხვა, სადაც ვცდილობდი, მაღალი პროფესიონალიზმი გამომევლინა. მაგრამ, ის რომ საამაყოა არ ნიშნავს კატეგორიულებას, მე, ჩემის მხრივ, შევეცდები ვიყო აქტიური და ეს აქტიურობა რა თანამდებობას მომიტანს ხვალ, ზეგ თუ 5 წლის შემდეგ, ჯერ არ ვიცი.

— ულავოდ ნარმატებული ხართ, ჩამოთვალით
სამი თვისება თქვენი, ჩამას ნარმატებას მი-
გალწივინათ? სახორცოლ, აა თვისებებია საჭ-
ირო რომ ნარმატებული გავხდეთ?

- ამის ფორმულა, რა თქმა უნდა, არ არსებობს, მაგრამ ყველაზე მნიშვნელოვანი ჩემი აზრით, რომ მიაღწიოს ადამიანმა წარმატებას - არის მონდომება, მეორე ეს არის შრომისმოყვარეობა, რადგანაც წარმატება ვერ მიიღწევა გარჯისა და შრომის გარეშე, და მესამე არის სწორი ხედვა, ანუ უნდა იცოდეს ადამიანმა რა უნდა ცხოვრებაში, საით მიდის, ამ შემთხვევაში, გაგიადვილ-დება დანიშნულ ადგილმდებარეობამდე მისვლა, მაგალითად, თუ ვიციო, რომ მივდივარო რკინიგზის სადგურზე, უნდა ვიფიქროთ როგორ ვიპოვოთ სწორი და ადვილი გზა, როცა არ ვიციო მივდივარო თუ არა რკინიგზის სადგურზე, ჩვენ, უძრავლიდ, დაგბარებავთ დანიშნულების ადგილს და შესაძლოა, დრო დავკარგოთ უაზრო ხეზიალ-ში. ასე რომ, საჭიროა, სწორი ხედვის ჩამოყალიბება, მიზნის მიღწევის ძლიერი სურვილი და ჩვენ აუკითხებლად მივაღწევთ საწადელს.

თინათინ ახალკაცი

ა ს კ ვ ა ლ ა ვ ა რ ი გ ა რ ა მ ც ა ძ ი :

ა მ ბ რ ე ბ ი ბ რ ე !

D

ბევრმა, შესაძლოა, არც კი იცის, რომ ქალაქის ცენტრში, რუსთაველის ქუჩაზე, №22-ში, უკვე 4 წელია ფუნქციონირებს „კულინარი 2012“, რომელშიც ადგილზე დამზადებულ 30



დასახელების პროდუქციას შემოგთავაზებენ .

ჯერ კიდევ გარედან იქცევს ყურადღებას ეს ნათელი, სუფთა, კომფიი შენობა, რომელიც ქალაქის სავადმყოფოს ცენტრალური შესავლელის დასაწყისში, ხელმარცხნივ მდებარეობს. შესვლისთანავე გაგაოცებთ აქ შექმნილი სისუფთავე, სიმუშდროვე, სიმშვიდე, მაქსიმალური კომფორტი და, რაც მთავარია, აქაური ნამზადის გემო, მრავალფეროვნება და ხარისხი.

არც ისე ვართ განებივრებული ისეთი ადგილებით, სადაც ყოველდღიურობით გადადლილნი სულის სიმუშდროვეს ვიპოვთ, სადაც თბილად



მიგვიღებენ, გაგვიღიმებენ, მოგვემსახურებიან, სადაც მიმზიდველ, მშვიდ, მყუდრო, სუფთა გარემოში დაივანებთ დამაშვრალნი. დანაურდებით, გახალისდებით, სტუმარსაც მიიყვანთ, გაუმასპინძლდებით, დაბოლოს, დიდად კმაყოფილი დარჩებით.

სწორედ ასეთი გარემოა აქ და მიუხედავად იმისა, რომ იგი ქალაქის ყველაზე ხალხმრავალ ადგილას მდგრადის, სადაც მთელი ხაშურის მაჯისცემა იგრძნობა, აქაური სიმშვიდე და სიწყნარე იდეალური დასვენების საშუალებას იძლევა. აქ მართლაც სიამოვნებით წაიყვან სტუმარს, როცა ყველაზე მეტად გინდა, გამოიჩინო თავი სტუმართმოყვარეობითა და მასპინძლობით.

კომპანია მთლიანად აღჭურვილია ცნობილი იტალიური ბრენდის დანადგარებით. აქ დასაქმებულია 10 ადამიანი. მომუშავე პერსონალს პროფესიების მიხედვით გავლილი აქვთ სტაჟირება.

პროდუქციის მომზადებაში იყენებენ უმაღლესი ხარისხის ინგრედიენტებს. მომხმარებელს უფლება აქვს, თვითონ იხილოს, დაესწროს, თუ როგორ მზადდება პროდუქცია შენობის ქვედა სართულზე. ყველაფერი ყოველთვის უმაღლესი ხარისხისაა, ამიტომაც აირჩია კომპანიამ სლობანი „ყოველთვის გემრიელია“, რომელიც 100%-ით ამართლებს მისი საქმიანობის შედეგს. მომხმარებელმა იცის, რომ ყოველდღიურად ხდება კომპანიის საკუთრებაში არსებული ინვენტარის გარეცხვა, გასუფთავება, სტერილიზაცია. სწორედ ამიტომ „კულინარი 2012“-ის ხშირი სტუმრები არიან როგორც ქ. ხაშურის მოქალაქეები, ასევე ჩვენი ქალაქის სტუმრები საქართველოს სხვადასხვა კუთხიდან, მათ შორის ბევრი ცნობილი სახე-



ა მ ბ რ ე ბ რ ე !

ა(ა)იპ ხაშურის მუნიციპალიტეტის გაზეთი „ხაშურის მოამბე“. დირექტორი გიორგი გოგალაძე,
მისამართი: ხაშური, ტაბიძის ქუჩა №2. ტელეფონი: 24 30 27.

E-mail Khashurismoambe 2015@gmail.com საბანკო რეკვიზიტები: სს „ლიბერთი ბანკის“ ხაშურის ფილიალი, საიდენტი-
ფიკაციო კოდი 443860984, ბანკის კოდი LBRTGE22, ანგარიში GE80LB0115114434590001.

ნ-ით მონიშნული სტატია იბეჭდება დაკვეთით

გაზეთი იბეჭდება ობილისში.

რედაქტორი რობერტ სუხიაშვილი.